დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33.
„08—05—“2018 წ. ოქმი N 8.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებასა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
1.2. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის, სტუდენტის მიღწევების შეფასების,შეფასების გასაჩივრების, სტუდენტის უფლება-მოვალეობების, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამებით სუდენტების განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
1.3. უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებას ახორციელებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისათვის დადგენილი ვადების განსაზღვრის შემდეგ, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და დოკუმენტების წარდგენის ვადა.

2.2. მიღება შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და გაზაფხულზე;
2.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებია:

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირს, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

გ) პირს, რომელსაც აქვს სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

ე) პროფესიულ მომზადების პროგრამაზე და პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

2.4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები;

2.5. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.6. აპლიკანტი ეცნობა გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებს.

2.7. ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტთა ჩამონათვალი:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორი ასლი;

ბ) საშუალო ან საბაზო განათლების დოკუმენტის ან/და განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საშუალო განათლების დაძლევის გარეშე;

გ) არასრულწლოვანმა, ქმედუუნარო აპლიკანტმა დამატებით უნდა წარმოსადგინოს მშობლის ანკანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჭიროების შემთხვევაში მზრუნველობის შესახებ მშობლის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი(მინდობილობა).არასრულწლოვნმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ასევე დაბადების მოწმობა;

დ) პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, უნდა წარუდგინოს დაწესებულებას სიიპ-განათალების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ატესტატის აღიარების დოკუმენტი. (რაც რეგულირდება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ).

ე) პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი. (რაც რეგულირდება: 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მონისტრრის 19 მარტის ბრძანება N 147, „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლებისა აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“)

ვ)წვევამდელის მიწერის მოწმობა

2.8. საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის და სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება რექტორსა და სტუდენტს შორის. ხელშეკრულების ერთი

ეგზემპლიარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლიარი ინახება სტუდენის პირად საქმეში;

2.9. თუ პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულება ფორმდება მის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან.

2.10. აპლიკანტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა პროფესიული ტესტირება და არ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია, არ ჩაირიცხება;

2.11. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/ბრძანების გამოცემის შემდეგ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტის მიერ სტუდენტის პირადი ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ხოლო ჩარიცხული სტუდენტების მიერ წარმოგდენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს.

2.12. პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე ადასტურებდეს წინამდებარე დოკუმენტის გაცნობას.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

3.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტებს რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია სასწავლო პროცესი ეწყებათ მოდულით ,, ქართული ენა A2”

3.2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სტუდენტებს რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და ჩარიცხვა განხორციელდა საშუალო და უმაღლეს (IVდაV დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე,,ქართული ენა A2” მოდულის დაძლევის შემთხვევაში, სწავლას აგრძელებს მოდულზე ,,ქართული ენა B1’’;

3.3.,,ქართული ენა A2” და ,,ქართული ენა B1’’ მოდულების დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი პროფესიული სტუდენტის სტატუსით და მას უფლება აქვს:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,რომელზეც ჩაირიცხა. ამ შემთხვევაში მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება იგივე პროფესიულ პროგრამაზე შემდგომი ტესტირების ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. წინაარმდეგ შემთხვევაში მას უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით იგივე საგანამანათლებლო პროგრამის მიმართულების ფარგლებში;

ბ) ამ უფელბამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გადავიდეს სხვა სასწავლო დაწესებულებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განსაზღვრული წესით;

3.4.მომლოდინე პროფესიული სტუდენტის სტეტუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა აკლდება სასწავლებლში მომდევნო მიღებსას დადგენილ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას;

3.5.პროფესიული სტუდენტის მიერ ,,ქართული ენა A2” და ,,ქართული ენა B1’’ სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტის ჩარიცხვა

4.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აპლიკანტს წარმეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.

4.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში რეგისტრაცია, მონაწილეობა, ტესტირების მიმდინარეობა რეგულირდება ცენტრის დებულებით.

4.3. სსსმ აპლიკანტის ტესტირება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

4.4. პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელებისთვის სასწავლებელში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საგამოცდო კომისია, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, შესაბამისი პროგრამის პედაგოგი, საჭიროების შემთხვევაში ჟესტური ენის თარჯიმანი და ბრაილის სისტემის სპეციალისტი.

4.5. კომისია, რომელიც იქმნება პროფესიულ ტესტირებაზე სსსმ აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმნათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მინიზნით, სსსმ აპლიკანტს უწევს კონსულტიციას პროგრამის შერჩევაში. სთავაზობს მას იმ პროგრამების ჩამონათვალს, რომლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტი.

4.6. სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის დროს ხდება ასახვა აპლიკანტის ყველა პირადი მონაცემების და ასევე სპეციალურ გრაფაში მიეთითება სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების არსებობა.

4.7. რეგისტრაციის შემდეგ სსსმ აპლიკანტი ვალდებულია სასწავლებელში წარმოადგინოს ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რომელიც დამოწმებულია ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით.

4.8. ტესტირების (პრაქტიკული მოსინჯვის) საფუძველზე სსსმ აპლიკანტის შეფასების წესი რეგულირდება დებულებით, შეფასების შემდგომ სსსმ აპლიკანტთა გადანაწილება ხდება განათლების მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4.9. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის დაწყებამდე ხდება სსსმ აპლიკანტის ჩარიცხვა სასწავლებელში და ფორმდება ხელშეკრულება, ხოლო თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია ფორმდება ხელშეკრულება მის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან.

4.10. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/ბრძანების გამოცემის შემდეგ სპეციალისტის მიერ სტუდენტის პირადი ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ხოლო ჩარიცხული სტუდენტების წარმოგდენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

5.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

დ) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება;

ე) ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების (მოდულების) 40% გაცდენის შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე;

ვ) ფინანსური დავალიანება;

ზ) პირადი განცხადება.

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმება, რის შემთხვევაშიც პროფესიულ სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობის უფლებით.

5.2. სტუდენტის მხრიდან სტატუსის შეჩერების სურვილის შემთხვევაში, მან განცხადებით უნდა მიმართოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას;

5.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

5.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა შეჩერების მომენტიდან 5 წელი;

5.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით;

5.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, მონაცემები შეინატება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

6.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის (5 წელი) გასვლა;

6.2. აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;

6.3. პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;

6.4. პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

6.5. უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტის ეათიკის კოდექსით და უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკუკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.6. გარდაცვალება.

6.7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვათში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან;

6.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით.

6.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

მუხლი 7. მობილობის წესით ჩარიცხვა (გარე და შიდა მობილობა)

7.1. მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

7.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთი საფეხურის და ერთი მიმართულების ფარგლებში და არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

7.5. მობილობის გამოცხადებასთან ერთად ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7.6. მობილობის მსურველის სტატუსს პროფესიული სტუდენტი მოიპოვებს რეგისტრაციის შედეგად. კერძოდ, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე

7.7. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით "პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე".

7.8. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში გავლილი მოდულები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

7.9. აღიარებას ექვემდებარება ის მიღწეული სწავლის შედეგები, რომლის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

7.10. მობილობით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს;

ა) პროფესიული სტუდენტის შეფასების ამონაწერი (სასწავლო ბარათი);

ბ) პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება;

გ) ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.

7.11. მოდულების აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით, შესაბამის ფაკულტეტზე იქმნება საფაკულტეტო კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მოდულების აღიარების შესახებ და ამზადებს დასკვნას ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.

7.12. მობილობის დროს კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი-რექტორის ბრძანება.

7.13. სასწავლებელი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ: ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ბ)სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; გ)პროფესიული ტესტირების შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა 5-ზე ნაკლები სტუდენტი.

7.14. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია უფლება აქვს:

ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხა მობილობის განხორციელებამდე;

ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

7.15. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა: ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები; ბ) არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა; გ) მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იმავე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

7.16. მობილობის შედეგად სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

8.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

8.2. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობდა სტუდენტი, გაუქმებუმებულია იმ მომენტისთვის მას შეეთავაზება უნივერსიტეტში არსებული პროგრამებიდან ალტერნატიული პროგრამა.

8.3. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების უფლებებში აღდგენა შესაძლებელია მიმდევნო მიღებისას შესაბამის პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის შემცირების ხარჯზე.
8.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, მონაცემები შეინატება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

მუხლი 9. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

9.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია III დონის (საბაზო პროფესიული) ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
9.2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
9.3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს ფაკულტეტების წარდგენის საფუძველზე შექმნილი საუნივერსიტეტო კომისია

კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები;

დ) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

ე) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები არ უნდა წარმოადგენდნენ დაწესებულეის თანამშრომლებს

9.4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს კონსულტაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, რომელიც აწვდის მას ინფორმაციას სასურველი პროფესიის საფეხურების შესახებ.
9.5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით

დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობისა ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

დ) დაწესებულებას უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

9.6. განცხადების განხილვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება;

ბ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა;

გ) გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

9.7. კომისია ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

9.8. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

9.9. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) სასწავლებლის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს

დ) მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამის დასაბუთებას;

ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

9.10. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

9.11. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

9.12. გადაწყვეტილებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამებით სუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

10.1. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობს შეიცვალა ან გაუქმდა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებას და/ან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტის მობილობის პრინციპით სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მემორანდუმის საფუძველზე) იმ ალტერნატიულ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პროფესიული სტუდენტის წავლობდა.

10.2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია.

10.3. თუ ამ მუხლის **10.1** პუნქტების პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები.

11.1.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს მოდულის კალენდარული გეგმა;

დ)მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის / მომსახურების შეფასება.

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სტუდენტის მობილობის ულებით.

თ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

კ) ისარგებლოს კანონით ,,პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს სხვა საკნონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებებით.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა მოდული, რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

<u>სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:</u>

ა) თამბაქოს სისტემატური მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

ბ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა

12.1 პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამით.

12.2 პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

12.3 კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და შეფასებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და შეფასებას;

მუხლი 13. სწავლის საფასური

13.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დადგენილება №244. პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე);

13.2 სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება გასავლელი მოდულების ღირებულებიდან.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

14.1 შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას.

14.2 განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

14.3 განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

14.4 განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში. პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს შედეგი.

14.5 მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი მოდულის მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა

შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

14.6 მოდული, რომელიც წამოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, წინმსწრები მოდულის შეფასების ძირითად ვადაში ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა არაუმეტეს ათი დღისა შედეგების დასადასტურებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვება მომდევნო მოდულზე.

14.7 საპატიო მიზეზის შემთხვევაში, თუ მას დადასტურებული არა აქვს დამატებით ვადაში რომელიმე მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ი, მაგრამ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა შემდგომ მოდულზე და მოითხოვოს განმეორებითი შეფასება სწავლის დასრულებამდე.

14.8 განმეორებით შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

14.9 აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად - მოდულის ბოლოს.

14.10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

14.11 პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

14.12 შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის (უწყისი) გაფორმების შემდეგ.

მუხლი 15. მიღებული შეფასების გასაჩივრება

სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი დანიშნულება სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფაა. საჩივრების ეფექტური სისტემის არსებობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია.

15.1 თუ სტუდენტი გადაწყვეტს მიღებული შეფასების გასაჩივრებას, ის თავდაპირველად უნდა გაესაუბროს შესაბამის მოდულის მასწავლებელს, რათა გაარკვიოს ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები და საკუთარი პრეტენზიების გონივრულობა.

15.2 პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია მიღებული შეფასებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, შესაბამისი განცხადებით მიმართოს დეკანს, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტულად რომელ საგამოცდო საკითხის შეფასებას არ ეთანხმება.

15.3 თავდაპირველად საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო მოდულის მასწავლებელს 2 სამუშაო დღის ვადაში.

15.4 მოდულის მასწავლებელი ვალდებულია სტუდენტთან ერთად 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შესრულებული ნამუშევარი და მისცეს მას ამომწურავი პასუხი მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.

15.5 შეფასების ცვლილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოდულის მასწავლებელი ვალდებულია დეკანს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტუდენტის შეფასების ცვლილების შესახებ, სადაც უნდა დაფიქსირდეს ცვლილების მიზეზი;

15.6 სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას.

15.7 დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

15.8 საჩივრის განხილვის მიზნით ფაკულტეტზე დეკანის მიერ იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არა უმეტეს 10 დღის ვადაში.

15.9 დროებითი სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი ან დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის გამსწორებელი.

15.10 დროებითი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

15.11 დროებითი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

15.12 სააპელაციო განაცხადები, აპელაციების აღრიცხვის ჟურნალი და აპელაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება დეკანატში სპეციალისტთან პროგრმის დასრულებამდე.

მუხლი 16. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაცია ასახავს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონეს, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დონის პროფესიული დიპლომით.

16.1 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამის დონის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევა. კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო.

16.2 შესაბამისი დონის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართთან ერთად.

16.3 კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი.

16.4 პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, სურვილის შემთხვევაში ეძლევა სათანადო ცნობა ან სერთიფიკატი გავლილი მოდულების და დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;

16.5 კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

დანართი 1

სააპელაციო განაცხადის ფორმა
სტუდენტის სახელი და გვარი: _____
პირადი ნომერი: _____
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა)_____
სასწავლო მოდულის დასახელება:
_____
სასწავლო წელი _____
მოდულის პედაგოგი: _____
შეფასების კომპონენტი, რომლის შედეგსაც ასაჩივრებს სტუდენტი: _____
მიღებული შეფასება: _____
შეფასების გასაჩივრების მიზეზი (უნდა მიეთითოს კონკრეტულად შეფასების რა ნაწილს ასაჩივრებს სტუდენტი და ის კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტის აზრით მის შეფასებაში არასათანადოდ იქნა გამოყენებული):
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
შევსების თარიღი: _____